ხელშეკრულება №ა/ფ-75
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

თბილისი 10.10.2016 წ.

ერთი მხრივ **სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“**, შემდგომში - შემსყიდველი, წარმოდგენილი ცენტრის უფროსის **გიგა გაბელაიას** სახით და მეორე მხრივ **შპს „გივერეთ შირაზი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **გალინა სტელმაკის** სახით, შემდგომში - მიმწოდებელი, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტისა და შემსყიდველი ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობების, იძულებით გადაადგილებული და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამების დეპარტამენტის უფროს ბელა სარიას 2016 წლის 26 სექტემბრის N05/703 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება'' _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი“ _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი 2016“-ის აქტივობის „სახელობო წრეების“ ფარგლებში ხელშეკრულების დანართი N1-ის შესაბამისად მინანქრის ფერების (CPV-44812100) შესყიდვა - შემდგომში საქონელი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **432.50 (ოთხას ოცდათორმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი)** ლარს.

3.2 საქონლის ერთეულისა და საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით.

3.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 14 ოქტომბრის ჩათვლით.

ბ) საქონლის მიწოდების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობებით.

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

5.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი საქონლისათვის უკვე არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

5.2. აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მოწოდებული საქონელი, ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს: სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის" „ახალგაზრდული ფესტივალი 2016"-ის პროექტის „CYNC კვირეულის" კონსულტანტი ელისო გერაძე.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიწოდებული საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გზით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7.3. გაწეული მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის" „ახალგაზრდული ფესტივალი 2016"-ის პროექტის „CYNC კვირეულის" კონსულტანტი ელისო გერაძე.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით შეუსრულებელი ვალდებულების ჯამური ღირებულების 3% არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღისა. იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევი მხარე მითითებულ ვადაში არ გადაიხდის პირგასამტეხლოს, მას დამატებით დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი პირგასამტეხლოს 10%-ის ოდენობით.

10.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **10 (ათი)** პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების ცვლილების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 21 ნოემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი:
სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი"	შპს „გივერეთ შირაზი"
მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 76ბ	იურიდიული მის: თბილისი, ვაჟა-ფშაველას VI კვ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204935712	კორპ-III ბ.32
ტელ: 230 17 75;	ს/კ: 205210074
სახაზინო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
კოდი: 220101222	სს „თიბისი ბანკი"
ა.ა: 200122900	ანგ. № GE68 TB 1172 3360 2010 0002
ცენტრის უფროსი	კოდი: TBCBGE22
გიგა გაბელაია _____	დირექტორი
	გალინა სტელმაკ _____

დანართი N1

CPV-44800000					
N	დასახელება	რაოდენობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი	CPV კოდი
1	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. M-100	1	20	20	44812100
2	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. M-106	1	15	15	
3	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. D-105	1	8	8	
4	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. 27	1	10	10	
5	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. J-113	1	8	8	
6	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. 208	1	15	15	
7	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. 209	1	15	15	
8	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. 75	1	10	10	
9	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. L-108	1	8	8	
10	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. Z-109	1	8	8	
11	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. Z-127	1	10	10	
12	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ.38	1	10	10	
13	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. 37	1	10	10	
14	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. Z-100	1	8	8	
15	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. Z-107	1	8	8	
16	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. 43	1	10	10	
17	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. 190	1	15	15	
18	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. 33	1	10	10	
19	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. Z-103	1	8	8	
20	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. 252	1	10	10	
21	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. Z-108	1	8	8	
22	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. J-108	1	8	8	
23	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. 34-N	1	10	10	
24	მინანქრის ფერები იაპონური გრამებში – 25გრ. N-86	1	10	10	
25	მინანქრის ფერები Limogen გრამებში – 25გრ. 38	1	7.5	7.5	
26	მინანქრის ფერები Limogen გრამებში – 25გრ. 603	1	7.5	7.5	
27	მინანქრის ფერები Limogen გრამებში – 25გრ. 604	1	7.5	7.5	
28	მინანქრის ფერები Limogen გრამებში – 25გრ. 600	1	7.5	7.5	
29	მინანქრის ფერები Limogen გრამებში – 25გრ. 175	1	7.5	7.5	
30	მინანქრის ფერები Limogen გრამებში – 25გრ. 1942	1	8	8	
31	მინანქრის ფერები Limogen გრამებში – 25გრ. 25	1	7.5	7.5	
32	მინანქრის ფერები Limogen გრამებში – 25გრ. 100	1	7.5	7.5	
33	მინანქრის ფერები Limogen გრამებში – 25გრ. 159	1	7.5	7.5	
34	მინანქრის ფერები Limogen გრამებში – 25გრ. 188	1	7.5	7.5	
35	მინანქრის ფერები Thomson გრამებში – 25გრ. 1850	1	11	11	
36	მინანქრის ფერები Thomson გრამებში – 25გრ. 1870	1	11	11	
37	მინანქრის ფერები Thomson გრამებში – 25გრ. 1150	1	7.5	7.5	
38	მინანქრის ფერები Thomson გრამებში – 25გრ. 2430	1	7.5	7.5	
39	მინანქრის ფერები Thomson გრამებში – 25გრ. 2420	1	8	8	
40	ფონდონი F3. 25 გრ	2	7.5	15	
41	კონტრემალი 25 გრ	3	5	15	
42	დამამთავრებელი ფერი 518. 25 გრ	2	7.5	15	
43	სპილენძის ფონდონი F1 . 25 გრ	2	7.5	15	
			ჯამი	432.50	

შემსყიდველი_____

მიმწოდებელი_____

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ

თბილისი 10.10.2016წ.

ვადასტურებ, რომ სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ მიერ 2016 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N₃/ფ-75 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელ ორგანიზაციასთან „სახემლწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი ----------გიგა გაბელაია

ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლისა
და ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი ----------ელისო გერაძე

მიმწოდებლის შერჩევაზე უფლებამოსილი პირი ---------- ზურაბ ჩინჩალაძე